

(გამოქვეყნებულია
საქართველოს პარლამენტის უწყებანი
1996 წელი - N27-28/4)

საქართველოს კანონი

სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ (23.12.2005 N 2459)

თავი პირველი

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირთა წრე
(23.12.2005 N 2459)

ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე შემდეგი პირები:

ა) ოფიცრები, გენერლები, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში და სამხედრო რეზერვის პირველ თანრიგში ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს სამხედრო ძალებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, დამზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში;

ბ) სპეციალური წოდების მქონე პირები, რომლებიც მსახურობდნენ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში;

გ) ოფიცრები, მათ შორის, სამხედრო პროკურატურის, ყოფილი სახედრო გრიბუნალის, სამხედრო სასამართლოს ოფიცრები, გენერლები, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მიღებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ ყოფილ სსრ კავშირის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში, შინაგან, სასაზღვრო, სარკინიგზო, სამთავრობო კავშირგაბმულობის, სამოქალაქო თავდაცვის, სამხედრო-სამშენებლო ჯარებში, სახელმწიფო უშიშროების, საგარეო დამზვერვის, სამხედრო იუსტიციის ორგანოებში, სხვა კანონიერ სამხედრო ფორმირებებში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში და მათი ოჯახის წევრები, თუ ამ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი

სხვაგვარად არ არის დადგენილი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით;

დ) რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში, ყოფილი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ-ის, დამოუკიდებელი თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელი სახელმწიფოების შინაგან საქმეთა ორგანოებში, თუ ამ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი სხვაგვარად არ არის დადგენილი საქართველოსა და ყოფილ სსრ კავშირში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკებს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებით (შეთანხმებით);

ე) პარტიზანები, მოხალისეები, პარტიზანული და მოხალისეთა რაზმების მეთაურები, რომელთა თანამდებობები შეესაბამებოდა ოფიცერთა თანამდებობებს;

ვ) მეორე მსოფლიო ომში და სხვა შეიარაღებულ კონფლიქტებში დაღუპულ (უგზო-უკვლოდ დაკარგულ) ან იქ მიღებული ჭრილობის, დასახიზრების, კონგუზიისა და სხვა დაავადების შედეგად გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრები;

ზ) გარდაცვლილ სამხედრო პენსიონერთა ოჯახის წევრები;

თ) სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკები და მათი ოჯახის წევრები საქართველოსა და ამ სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულების (შეთანხმების) საფუძველზე.

მუხლი 2. სახელმწიფო კომპენსაციის მიღების საფუძველები (23.12.2005 N 2459)

სახელმწიფო კომპენსაციის მიღების საფუძველებია:

- ა) კანონით დადგენილი ნამსახურობის ვადის ამოწურვა;
- ბ) 65 წლის ასაკის მიღწევა;
- გ) შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენა;
- დ) მარჩენალის გარდაცვალება.

მუხლი 3. სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის უფლების რეალიზაცია (23.12.2005 N 2459)

1. სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც ამ კანონის თანახმად სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ, სახელმწიფო კომპენსაცია მიეცემათ სამსახურიდან თადარიგში გასვლის ან სამსახურიდან გადადგომის შემდეგ. 2. სამხედრო მოსამსახურეებს შესაძლებლობის შეზღუდვის გამო სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნებათ სამსახურის ხანგრძლივობის მიუხედავად.

3. გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთათვის სახელმწიფო კომპენსაციის ან სახელმწიფო პენსიის დანიშვნის პირობები რეგულირდება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ ან „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონებით.

4. სახელმწიფო კომპენსაცია არ დაენიშნება სასამართლო წესით სამხედრო ან სპეციალურ წოდებაჩამორთმეულ პირებს და მათი ოჯახის

წევრებს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი გამართლებული ან რეაბილიტირებული არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)

მუხლი 5. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)

მუხლი 6. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)

მუხლი 7. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)

მუხლი 8. ამ კანონით გათვალისწინებულ სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფა ამოღებულია (23.12.2005 N 2459)

ამ კანონით გათვალისწინებულ სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრებისათვის სახელმწიფო კომპენსაციებით უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მუხლი 9. სახელმწიფო კომპენსაციებით უზრუნველყოფის

განმახორციელებელი ორგანო ამოღებულია (23.12.2005 N 2459)

ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ პირთა სახელმწიფო კომპენსაციებით უზრუნველყოფას ახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.

მუხლი 10. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)

თავი მეორე

სახელმწიფო კომპენსაცია სამხედრო მოსამსახურეთათვის (23.12.2005 N 2459)

მუხლი 11. სამხედრო მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების განმსაზღვრელი პირობები (23.12.2005 N 2459)

სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებათ:

ა) ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღეს აქვთ წელთა ნამსახურობის 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც იძულებით იყვნენ დათხოვნილი 1956 წელს ქართული სამხედრო შენაერთის (დივიზიის) დაშლის დროს და აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 და 10-ზე მეტი კალენდარული წელი და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი; აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების იმ მოსამსახურეებს, რომლებიც შევიდნენ სამხედრო სამსახურში 1991-დან 1995 წლამდე და დათხოვნილი იქნენ ზღვრული ასაკის გამო, აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი;

ბ) იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო საჭიროების გამო გაწვეულ იქნენ სამხედრო

სამსახურში, საპენსიო ასაკის მიღწევის დღისათვის იმყოფებიან სამხედრო სამსახურში და აქვთ სამხედრო ძალებში წელთა ნამსახურობის 10 წელი;

გ) ყოფილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების, სასაზღვრო ჯარების, სხვა კანონიერი სამხედრო ფორმირებების სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პენსიონერებს, რომლებიც შემდგომ ჩაირიცხნენ საქართველოს სამხედრო ძალების კადრის სამხედრო სამსახურში.

მუხლი 12. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)

მუხლი 13. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)

მუხლი 14. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)

მუხლი 15. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)

მუხლი 16. წელთა ნამსახურობის გაანგარიშება

1. წელთა ნამსახურობაში პენსიის დანიშნისათვის ჩაითვლება: საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სამსახური; სამხედრო სამსახური; შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში სამსახური; სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში სამსახური; პარტიზანულ რაზმებსა და შენაერთებში სამსახური; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში მუშაობის პერიოდი – სამხედრო სამსახური ან შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოებში და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში კადრში დატოვებით; ცხვეობაში ყოფნის პერიოდი, თუ ცხვემ არ ჩაიდინა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; სასჯელის მოხდის და პატიმრობის პერიოდი, თუ სამხედრო მოსამსახურეები, რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირები უსაფუძვლოდ იყვნენ მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან რეპრესირებულნი. (17.06.2005 N 1680)

2. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებს წელთა ნამსახურობაში შეიძლება ჩაეთვალოს სამხედრო სამსახურში ან შინაგან საქმეთა და უშიშროების სამსახურის ორგანოებში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ჩარიცხვამდე სამოქალაქო, სპეციალურ და უმაღლეს სასაწავლებლებში სწავლის პერიოდი. 6 წლის ბემოთ სწავლის ერთი წელი ჩაეთვლება 6 თვედ.

2¹. შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნილ რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირებს წელთა ნამსახურობაში ჩაეთვლება საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სამსახური. (17.06.2005 N 1680)

3. წელთა ნამსახურობაში ჩაითვლება განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის პერიოდი შეღავათიანი გაანგარიშებით.

4. წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება ხდება სამხედრო მოსამსახურის სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან იმ დღემდე, როდესაც იგი ბრძანების თანახმად თადარიგში იქნა დათხოვნილი ან გადადგა სამსახურიდან.

5. ამ კანონის პირველი მუხლის "ბ" პუნქტში ჩამოთვლილ პირთათვის პენსიის დასანიშნად წელთა ნამსახურობის გამოანგარიშების წესს განსაზღვრავს საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო.

თავი მესამე
სახელმწიფო კომპენსაცია შებენიანი შესაძლებლობის სტატუსის მქონე
სამხედრო მოსამსახურეთათვის
(23.12.2005 N 2459)

მუხლი 17. შებენიანი შესაძლებლობის სტატუსის მქონე სამხედრო მოსამსახურეთათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშნვის პირობები *(23.12.2005 N 2459)*

ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს შებენიანი შესაძლებლობის გამო სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნებათ, თუ მათ შესაძლებლობა შეეზღუდათ სამხედრო ან ოპერატიული სამსახურის პერიოდში, ან არა უგვიანეს სამი თვისა სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, ან ამ ვადაზე უფრო გვიან, მაგრამ სამსახურის დროს მიღებული ჭრილობის, კონკუზიის, დასახინჩრების ან დაავადების გამო.

მუხლი 18. ამოღებულია *(23.12.2005 N 2459)*

მუხლი 19. ამოღებულია *(23.12.2005 N 2459)*

მუხლი 20. ამოღებულია *(23.12.2005 N 2459)*

მუხლი 21. ამოღებულია *(23.12.2005 N 2459)*

მუხლი 22. ამოღებულია *(23.12.2005 N 2459)*

მუხლი 23. ამოღებულია *(23.12.2005 N 2459)*

მუხლი 24. ამოღებულია *(23.12.2005 N 2459)*

თავი მეოთხე
გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრთა სახელმწიფო
კომპენსაცია
(23.12.2005 N 2459)

მუხლი 25. გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრთათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშნვის პირობები *(23.12.2005 N 2459)*

1. ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნულ მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნებათ, თუ სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა ან გარდაიცვალა სამხედრო სამსახურის დროს, ან არა უგვიანეს სამი თვისა სამხედრო სამსახურიდან გასვლის შემდეგ, ან ამ ვადაზე უფრო გვიან სხვა დაავადებით, რომელიც სამხედრო მოსამსახურემ მიიღო სამხედრო სამსახურის ან ოპერატიული მუშაობის დროს. ამ უფლებით სარგებლობენ ყოფილი სამხედრო გყვეების ოჯახის წევრები, რომლებიც ნებაყოფლობით არ ჩაბარდნენ გყვედ და გყვეობაში ყოფნის დროს არ ჩაიღინეს სამშობლოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება.

2. სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე საომარი მოქმედების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო მოსამსახურის ოჯახის უთანაბრდება ომში დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახს.

მუხლი 26. სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების გამო სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე ოჯახის წევრები *(23.12.2005 N 2459)*

სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების გამო სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ მის:

- ა) შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე;
- ბ) შრომისუნარო მეუღლეს, მშობლებს და შვილებს.

- მუხლი 27. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 28. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 29. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 30. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 31. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 32. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 33. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 34. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 35. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 36. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 37. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 38. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 39. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 40. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 41. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 42. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 43. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 44. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 45. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 46. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 47. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 48. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 49. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 50. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 51. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 52. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 53. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 54. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 55. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 56. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 57. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)
- მუხლი 58. ამოღებულია (23.12.2005 N 2459)

მუხლი 59. სამსახურებიდან დათხოვნისას სახელმწიფო კომპენსაციის დასანიშნად ბოგიერთი კატეგორიის პირთათვის წელთა ნამსახურობის ჩათვლა (23.12.2005 N 2459)

1. სამხედრო პროკურატურისა და სამხედრო სასამართლოების ოფიცრებს, აგრეთვე საქართველოს პროკურატურის ორგანოების სხვა თანამშრომლებს ადრინდელი წელთა ნამსახურობა შეიარაღებულ ძალებსა და სამართალდამცავ ორგანოებში (პოლიციის სამსახურში) ჩაეთვლებათ საერთო წელთა ნამსახურობაში. სამსახურიდან დათხოვნისას თავიანთი სტატუსით ისინი უთანაბრდებიან სამხედრო მოსამსახურე ოფიცრებსა და პოლიციის მუშაკებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით ასევე სარგებლობენ საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ზევადიანი და სახელშეკრულებო (კონტრაქტით) სამსახურგავლილი პირები, თუ ისინი გადაყვანილ იქნენ ზემოთ აღნიშნული ერთი უწყებიდან მეორეში.

თავი მეშვიდე ამოღებულია (23.12.2005 N 2459)

თავი მერვე ამოღებულია (23.12.2005 N 2459)

საქართველოს პრეზიდენტი

ელუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
1996 წლის 16 ოქტომბერი.
N 430-ის